ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ლანჩხუთი საქართველოსთვის“
გაერთიანებული სხდომის ოქმი N 1

ქ. ლანჩხუთი

23.12.2024 წელი
17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, ფრაქციის მოადგილე გიორგი გოგუაძე, ფრაქციის მდივანი ირმა მგელაძე, ფრაქციის წევრი გივი ცინცაძე.

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, ფრაქციის მოადგილე გოჩა ჯანაშია, ფრაქციის წევრი ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული სტუმრები: გაზეთ „ჰო და არას“ რედაქტორი ნონა გიგინეიშვილი; გაზეთ „გურია თუდეის“ რედაქტორი მამუკა ქანთარია.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნანა წილოსანი.**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ ფრაქციის წევრებმა გააკეთეს პოლიტიკური განცხადება:

პირველ რიგში გვინდა სოლიდარობა და თანადგომა გამოვუცხადოთ ევროპული მომავლისთვის მებრძოლ ადამიანებს, რომლებიც რეჟიმმა დაასახიჩრა და დააპატიმრა! ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, მიტაცებული არჩევნების შემდეგ ეგრეთწოდებული პრემიერის მიერ გაჟღერებულმა ინფორმაციამ ქვეყნის პროდასავლური კურსის ცვლილების თაობაზე, საქართველოს დედაქალაქში და არა მარტო გამოიწვია უსასრულო წინააღმდეგობა და დაუმორჩილებლობა, რასაც მოყვა ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების, რომლებიც საქართველოში უმრავლესობას წარმოადგენს, კონსოლიდაცია. 26- ე დღეა ქვეყანა არის პარალიზებული, ბოლო სიტყვა იყო ეუთო ოდირის დასკვნა, სადაც აშკარადაა გამოხატული ყველა ის დარღვევა, რომელიც უდაოს ხდის არჩევნების შედეგის არალეგიტიმურობას. შესაბამისად არალეგიტიმურია პარლამენტიც და მთავრობაც. არჩევნები არ უღიარებია არცერთ დასავლურ ქვეყანას. ყველა პროდასავლურად მოაზროვნე ადამიანი ერთხმად ითხოვს ახალ არჩევნებს, როგორც კრიზისიდან გამოსასვლელ ერთადერთ ლეგიტიმურ გზას. სოლიდარულია მთელი ცივილიზებული სამყარო. სანქციები არ წყდება ქვეყნის პროდასავლური გზის ძირის გამომთხრელი ჩინოვნიკების მიმართ, იმ პირების მიმართ ვინც მიზანმიმართულად ასახიჩრებს ჩვენს მომავალ თაობას, სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებს. გამომდინარე ამ ყველაფრიდან, ჩვენ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პროდასავლური ოპოზიციური ფრაქციები, არ ვცნობთ არალეგიტიმურ ხელისუფლებას და შესაბამისად არ ვაპირებთ განვიხილოთ

ბიუჯეტის პროექტი, რომლის ძირითადი წყარო ეგრეთწოდებული მთავრობის მიერ არის განსაზღვრული. ამიტომ გვინდა ცნობად მიიღოთ, რომ ჩვენი ბოიკოტის რეჟიმი ამ პირობებში გაგრძელდება.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე: **ზაკა მშვიდობაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
23.12. 2024 წელი
17:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა		
2. გიორგი გოგუაძე		
3. ირმა მგელაძე		
4. გივი ციწცაძე		

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.12.2024წელი

17:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	16:55 წთ.	
2	გოჩა ჯანაშია	16 50 წთ.	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	16.50 წთ.	